

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება №2/3/1559
2022 წლის 23 დეკემბერი
ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

ხვიჩა კიკილაშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: არჩილ მორბედაძე და ამალია ბადალიანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ.

დავის საგანი: „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/5 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველ პუნქტთან და მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებასთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე – არჩილ მორბედაძე; მოპასუხე მხარის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარმომადგენლები – ნინო დავლაძე, მეგი რიგვავა, თამარ თაქთაქიშვილი, ზაქარია გიუნაშვილი და მია გაბუნია; საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები – სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოადგილე კახა ჯამბურია და ამავე ცენტრის კვლევისა და ფსიქომეტრიის ჯგუფის ექსპერტი დავით კაპანაძე.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 25 იანვარს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1559) მომართეს არჩილ მორბედაძემ და ამალია ბადალიანმა. №1559 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2021 წლის 28 იანვარს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2021 წლის 10 დეკემბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის №2/10/1559 საოქმო ჩანაწერით, №1559 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად იქნა მიღებული. №1559 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2022 წლის 13 მაისს.

2. №1559 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე და 31¹ მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.



3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ დანართი №1-ით განსაზღვრული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ტესტირებაზე გამოუცხადებლობა აბიტურიენტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება, მიუხედავად იმისა ტესტირებაზე გამოუცხადებლობა ობიექტური მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა“.

4. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია განათლების მიღების და მისი ფორმის არჩევის უფლება. კონსტიტუციის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის მე-4 წინადადება ადგენს, რომ „მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“.

5. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდა წარმოადგენს პროცედურას, რომელიც განსაზღვრავს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად. მასში მონაწილეობით, აბიტურიენტი ახდენს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული განათლების მიღების, მისი ფორმის არჩევის და კანონით დადგენილი წესით დაფინანსების მიღების უფლებების რეალიზებას. სადავო ნორმა გამორიცხავს დამატებითი ტესტირების ჩატარების შესაძლებლობას, მათ შორის, ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც აბიტურიენტის ტესტირებაზე გამოუცხადებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით ან სხვა ხელშემშლელი ობიექტური მიზეზებით, რის შედეგადაც, იგი ერთი წლით კარგავს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

6. კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელემ მიუთითა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის შედეგადაც, შესაძლებელი გახდა, ერთჯერადად, 2021 წლის ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას, დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარება იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც გამოცდაზე დასწრება ვერ მოახერხეს: ა) COVID-19-ის ინფექციის გამო; ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სულ მცირე, ერთი დღე-ღამით ყოფნის შემთხვევაში; გ) ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო ან მის მიერ საქართველოს სახელით უცხო ქვეყანაში საერთაშორისო სპორტულ ტურნირში მონაწილეობის გამო. მოსარჩელისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა ისარგებლონ აღნიშნული შესაძლებლობით მხოლოდ იმ აბიტურიენტებმა, რომლებიც მონაწილეობენ 2021 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებში. მისი აზრით, აუცილებელია აბიტურიენტს მიეცეს დამატებით საგამოცდო სესიაზე გასვლის შესაძლებლობა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მან ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე დასწრება ვერ მოახერხა დაუძლეველი ძალის (მაგ., სტიქიური უბედურებები – მეწყერი, წყალდიდობა...), პანდემიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო.

7. კონსტიტუციური სარჩელის ავტორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირება თითოეულ საგანში ტარდება რამდენიმე სესიად, განსხვავებული ტესტური ვარიანტებით. აღნიშნული საშუალებას იძლევა, რომ იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტმა ვერ მოახერხა მისთვის განკუთვნილ სესიაზე დასწრება (რომელიმე ზემოხსენებული ობიექტური მიზეზის გამო), მისი ტესტის გადატანა მოხდეს ამ საგნისთვის გამოყოფილ სხვა სასესიო დღეს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, აღარ იარსებებს საგამოცდო ცენტრის მიერ ახალი სესიის დანიშვნის აუცილებლობა. ყოველივე ზემოხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველ პუნქტს და მეორე პუნქტის მე-4 წინადადებას.

8. მოპასუხე მხარის განმარტებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცესი არის ერთიანი ციკლი, რომელიც მოითხოვს წინასწარ დაგეგმვას. აუცილებელია, ზუსტად დადგინდეს დასახელებული პროცესის გამართულად ჩასატარებლად საჭირო ადმინისტრაციული რესურსის ოდენობა და გაიწეროს შესაბამისი ბიუჯეტი. დაუშვებელია, გამოცდების პროცესში არსებობდეს რაიმე თვითნებური გამონაკლისები, რათა იგი არ დაემსგავსოს კონკრეტულ ინდივიდზე მორგებულ სისტემას. ყოველწლიურად, ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირდება, დაახლოებით, 40 000 აბიტურიენტი. თითოეულ მათგანს გამოცდაზე უწევს რამდენიმე საგნის ჩაბარება, რაც, საერთო ჯამში, გულისხმობს საკმაოდ დიდი რაოდენობის გამოცდების ორგანიზების საჭიროებას. აუცილებელია, ლოჯისტიკური სამუშაოების იმგვარად დაგეგმვა, რომ არ მოხდეს გამოცდებს შორის გადაფარვა და უკლებლივ ყველა აბიტურიენტს მიეცეს გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. ვინაიდან,



ტესტური დავალებების მიწოდება ხდება კომპიუტერული სისტემით, აუცილებელია საგამოცდო ცენტრების უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, მათ შორის, ვიდეო კამერებით, რათა მოხდეს გამოცდების მიმდინარეობის ჩაწერა. საგამოცდო ცენტრი დაკომპლექტებულია ადმინისტრატორებისგან, კოორდინატორებისგან, უშუალოდ საგამოცდო სესიებზე დამსწრე კურატორებისა და მეთვალყურეებისგან. აღნიშნული პირების მობილიზება ხდება გამოცდების დაწყებამდე, საკმაოდ დიდი ხნით ადრე, რათა მოხდეს მათი სათანადოდ მომზადება გამოცდებზე დასაკვირვებლად. ერთიანი ეროვნული გამოცდების მთლიანი ციკლის კონკრეტული ვადები – დაწყებული აბიტურიენტის გამოცდაზე რეგისტრაციიდან, დამთავრებული მათი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვით, დეტალურადაა გაწერილი კანონმდებლობით. აუცილებელია, რომ დროულად მოხდეს ქულების რანჟირება და აღნიშნული ინფორმაციის საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მიწოდება, რათა სწავლის პროცესი დროულად დაიწყოს.

9. მოპასუხე მხარის განმარტებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარების და შესაძლებლობების გამოვლენა. 2005 წლიდან მოქმედებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი, რომელიც არის შეფასების სამართლიანი, გამჭვირვალე და უნიფიცირებულ პრინციპებზე დამყარებული სისტემა და ემსახურება საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევას უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებისათვის. ამასთან, ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს სტანდარტიზებულ შერჩევას, უნარებისა და ცოდნის კომპლექსურ შეფასებას, რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადანაწილებას საუკეთესო აბიტურიენტებზე.

10. მოპასუხე მხარის თქმით, აბიტურიენტების დიდი რაოდენობის გამო შეუძლებელია ყველა მათგანის ერთდროული განთავსება საგამოცდო ცენტრებში, რის გამოც ცენტრი ვალდებულია, გამოცდები ჩაატაროს რამდენიმე სესიად. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ იმ საგნებში, რომლებშიც გამოცდები ტარდება რამდენიმე სესიად, შედგენილი იყოს საგამოცდო ტესტების რამდენიმე ვარიანტი, რათა ერთი და იგივე ტესტის შინაარსი ცნობილი არ გახდეს შემდგომ სესიაზე გამსვლელი პირებისთვის. ზემოთქმულის გათვალისწინებით, საგამოცდო ცენტრი, წინასწარ განსაზღვრული შინაარსობრივი, კოგნიტური და სტატისტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის ერთგვაროვანი ტესტური დავალებების კრებულს. თუმცა სირთულის თვალსაზრისით, მაინც შეიძლება არსებობდეს მცირედი სხვაობა ტესტის სხვადასხვა ვარიანტებს შორის. ამგვარი მოცემულობიდან გამომდინარე, ცენტრმა შეიმუშავა ქულების გაიგივების და გაიგივებული ქულების გათანაბრების პრინციპები. აღნიშნული პროცესი მოიცავს კონკრეტული ქულის პროცენტული რანგის დადგენას, შემდგომში ნედლი ქულების გაიგივებას და გათანაბრებული ქულის მინიჭებას. საბოლოოდ, გათანაბრებული ქულების საფუძველზე ხდება აბიტურიენტთა ჩარიცხვა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათთვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭება.

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარმომადგენელთა თქმით, თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპები მოითხოვს აბიტურიენტთა მიერ საგამოცდო ტესტის სხვადასხვა ვარიანტებში მიღებული ქულების გაიგივებასა და გათანაბრებას. აღნიშნული პროცედურისთვის აუცილებელია, რომ საგამოცდო სესიებში აბიტურიენტთა რაოდენობა იყოს, დაახლოებით, თანაბარი და მათი შერჩევა მოხდეს შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც, საბოლოოდ, მათემატიკური მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ამგვარად დაკომპლექტებული ჯგუფების, დაახლოებით, ერთნაირ უნარებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგამოცდო ცენტრი, შემთხვევითობის პრინციპით, წინასწარ განსაზღვრავს ტესტის სხვადასხვა ვარიანტებში მონაწილე აბიტურიენტთა სიას, სადაც მათი რაოდენობა, დაახლოებით, თანაბარია. შესაბამისად, იმთავითვე პროგნოზირებადია ამა თუ იმ ვარიანტზე გასული აბიტურიენტების რაოდენობა. დამატებით სესიაზე გასვლის შესაძლებლობის დაშვებით, შეუძლებელი იქნებოდა აბიტურიენტთა რაოდენობის წინასწარი პროგნოზირება, რის შედეგადაც, ვეღარ მოხდებოდა აბიტურიენტთა მიერ მიღებული ქულების გათანაბრება და დაირღვეოდა თანასწორობის პრინციპი. მათი პოზიციით, აღნიშნული სიკეთის დაცვა გადაწონის იმ მცირე რაოდენობის აბიტურიენტთა უფლებას, ჩარიცხონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთაც რაიმე ობიექტური მიზეზის გამო ვერ მოახერხეს ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება.

12. მოპასუხეთა განმარტებით, ქულების გათანაბრება ტექნიკურად ხდება შემდეგი წესით: იმ შემთხვევაში, თუ ერთ საგამოცდო საგანში არის ტესტის 2 ვარიანტი – „ა“ ვარიანტი და „ბ“ ვარიანტი, „ა“



ვარიანტში მიღებული კონკრეტული ქულისთვის გამოითვლება ამ ქულის პროცენტული რანგი, რაც ადგენს, თუ რამდენმა აბიტურიენტმა მიიღო ამ ქულის ტოლი ან მასზე დაბალი ქულა. ამის შემდგომ, „ბ“ ვარიანტში მოიძებნება ისეთი ქულა, რომელსაც აქვს იგივე პროცენტული რანგი და შემდეგ ხდება იმ ქულათა გათანაბრება, რომელთაც გააჩნიათ ერთნაირი პროცენტული რანგი.

13. მოპასუხე მხარის წარმომადგენელთა თქმით, აბიტურიენტებისთვის დამატებით საგამოცდო სესიაზე გასვლის შესაძლებლობის მინიჭება წარმოშობს ახალი საგამოცდო ტესტის ვარიანტის შედგენის აუცილებლობას. ამასთან, არსებული მეთოდით ვერ მოხდება დამატებით სესიაზე გასული აბიტურიენტების მიერ მიღებული ქულების გათანაბრება იმ აბიტურიენტთა მიღებულ ქულებზე, რომლებმაც გამოცდა წერეს განრიგის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ სესიაზე, რადგან ამ შემთხვევაში, ირღვევა შემთხვევითი შერჩევითობისა და რაოდენობრივი თანაბრობის პრინციპი, რაც, საბოლოო ჯამში, ექვეყნეშ აყენებს მთლიანად ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისადმი სანდოობას.

14. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარმომადგენელთა განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტისთვის დამატებითი გამოცდის ჩატარება დაიშვება ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მან რაიმე ობიექტური მიზეზის გამო ვერ შეძლო ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა, მნიშვნელოვნად გაიზრდება დამატებით საგამოცდო სესიაზე გამსვლელ აბიტურიენტთა რაოდენობა, რაც, საბოლოოდ, გამოიწვევს უკონტროლო პროცესს. ამასთან, როგორც პრაქტიკა აჩვენებს აბიტურიენტები ამჯობინებენ დამატებით სესიაზე გასვლას, რადგან უჩნდებათ მოლოდინი, რომ ასე უფრო მეტი ინფორმაცია შეიძლება მიიღონ მოსალოდნელი ტესტური დავალებების შესახებ. გარდა ამისა, შეუძლებელია, კანონმდებლობით ამომწურავად გაიწეროს ყველა ის ობიექტური გარემოება, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც აბიტურიენტს შესაძლებლობა ექნებოდა, გასულიყო დამატებით სესიაზე. ამასთან, რომელიმე ობიექტური ფაქტორის არგაწერა, იმთავითვე უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენებდა აბიტურიენტთა ერთ კატეგორიას დანარჩენებთან მიმართებით.

15. მოპასუხე მხარის განმარტებით, კანონმდებლობით დაწესებული ის საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებიც დაიშვა 2021 წელს და რომლის შედეგადაც გარკვეული კატეგორიის აბიტურიენტებს ეძლეოდათ დამატებით სესიაზე გასვლის შესაძლებლობა, მთლიანად განპირობებული იყო კოვიდ პანდემიით. ამასთან, წინასწარ იყო ცნობილი, რომ დამატებით სესიაზე გასული აბიტურიენტების რაოდენობა იქნებოდა ძალიან მცირე და, იმთავითვე, იყო განსაზღვრული დამატებითი სესიების რაოდენობაც. 2021 წელს დამატებით გამოცდაზე გავიდა 225 აბიტურიენტი, რომელთაგანაც 181 იყო კოვიდით დაავადებული, ხოლო 44 სხვა მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება...).

16. მოპასუხე მხარის განმარტებით, მოსარჩელეთა უფლებაში ჩარევა არ არის დიდი ინტენსივობის, რადგან მათ შეუძლიათ, მომავალ წელს კვლავ მიიღონ მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში. დამატებითი სესიის დანიშვნა მოითხოვს დამატებით რესურსსა და დროს, რის შედეგადაც, ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცესი დროში გახანგრძლივდება. ამასთან, გარკვეული დროა საჭირო იმისთვის, რათა დადგინდეს აბიტურიენტის გამოუცხადებლობა ნამდვილად ობიექტური მიზეზით იყო განპირობებული თუ არა. გარდა ამისა, დროში გადაიწვეს თავდაპირველ სესიებზე გამოყენებული ტესტების გამოქვეყნების თარიღი, რაც ნეგატიურად იმოქმედებს პროცესის გამჭვირვალე ხასიათზე. ყოველივე აღნიშნული გამოიწვევს გასაჩივრების პროცესის გადადებას, რამაც, საბოლოო ჯამში, მთლიანად სასწავლო პროცესის დაწყების შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს. ყოველწლიურად, დაახლოებით, 40 000 აბიტურიენტის სწავლის დროულად დაწყების ინტერესი გადაწონის დამატებითი საგამოცდო სესიის დანიშვნის მიმართ იმ მცირერიცხოვან პირთა ინტერესს, რომელთაც სასესიო გამოცდებზე დასწრება ვერ მოახერხეს ობიექტური მიზეზით.

17. სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში – ცენტრის) წარმომადგენელთა განმარტებით, იმისთვის, რათა ყველა აბიტურიენტი მოექცეს ბოლომდე ერთნაირად თანაბარ სიტუაციაში, აუცილებელია, რომ ყველა მათგანმა ერთდროულად წეროს ერთი და იმავე ვარიანტის ტესტი, თუმცა აბიტურიენტთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე (დაახლოებით 40 000 ყოველწლიურად), ამგვარი რესურსი სახელმწიფოს დღეის მდგომარეობით არ გააჩნია. შესაბამისად, ვინაიდან ვერ ხერხდება ერთ საგამოცდო სესიაზე 40 000 აბიტურიენტის განთავსება, წარმოიშობა რამდენიმე სესიის საჭიროება, რაც თავის მხრივ მოითხოვს ქულათა გათანაბრების პროცედურის არსებობას.



18. ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, 2021 წლის ეროვნული გამოცდებისთვის დაშვებულმა დამატებითი სესიების შესაძლებლობამ განაპირობა უფრო დიდი ფინანსებისა და მატერიალური რესურსის მობილიზების აუცილებლობა. კერძოდ, ყოველწლიურად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე იხარჯება დაახლოებით 7-8 მილიონი ლარი, ხოლო 2021 წელს დაიხარჯა 10 მილიონი ლარი. ამგვარი ზრდა გამოწვეული იყო დამატებითი სესიების ჩატარების და პანდემიიდან გამომდინარე შესაბამისი ინვენტარის (პირბადეები, ფარები...) შეძენის საჭიროებით. ამასთან, გამოცდების პროცესი დროში გახანგრძლივდა და საგამოცდო კომისიებს მოუწიათ დიდი დატვირთვით მუშაობა, რათა უმაღლეს სასწავლებლებს დროულად ჰქონოდათ ჩარიცხულ პირთა მონაცემები. ისინი მიიჩნევენ, რომ 2021 წელს დაშვებული გამონაკლისები წარმოადგენდა შეცდომას და არ უნდა მოხდეს მისი ზოგად წესად დანერგვა. შეუძლებელია, ნორმატიულ დონეზე გაიწეროს გამოცდაზე გამოუცხადებლობის ყველა ობიექტური მიზეზი. შესაბამისად, არსებული მოდელის პირობებში ყოველთვის იქნება უთანასწორო მოპყრობის ფაქტები. ამასთან, აღინიშნა, რომ ტექნიკურად დამატებითი გამოცდის ჩატარება შესაძლებელია და იგი შეიძლება ჩატარდეს ძირითადი სასესიო ეტაპის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში.

19. ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის მოგვარების უკეთესი გზა შესაძლებელია იყოს იმ აბიტურიენტთა უგამოცდოდ ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, რომლებმაც ობიექტური მიზეზის გამო ვერ შეძლეს ტესტირებაზე გამოცხადება, იმ პირობით, რომ ისინი მომავალ წელს გავლენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და ჩააბარებენ შესაბამის საგანს. ამ შემთხვევაში ისინი შეძლებდნენ არ დაეკარგათ ერთი სასწავლო წელი.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით და მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებით დაცული სფერო

1. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის [27-ე მუხლის პირველი პუნქტი] უზრუნველყოფს განათლების მიღების შესაძლებლობას ყველა ადამიანისთვის. განათლების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების, კონსტიტუციურ რანგში აყვანა ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დემოკრატიულ სახელმწიფოში. განათლება წარმოადგენს სოციალური ცხოვრების განუყოფელ პროცესს, რომლის საშუალებითაც ინდივიდები თავიანთი შესაძლებლობებით და უნარებით სწავლობენ თვითგანვითარებას და ასევე სარგებლის მოტანას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

2. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადება ადგენს, რომ „მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი სახელმწიფოს ავალდებულებს, შექმნას საკანონმდებლო ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ უმაღლესი ან/და პროფესიული განათლება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ განათლების დაფინანსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც განათლების სუბიექტისთვის, ისე თავად სახელმწიფოსთვის. განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ როგორც სახელმწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის, ამავე დროს - განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი არსებობის საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის



3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უკვე ისაუბრა განათლების უფლების მნიშვნელობაზე ადამიანის პიროვნული განვითარების ჭრილში. „განათლების უფლებით სრულყოფილ რეალიზაციაზე დამოკიდებული ადამიანის პიროვნული თავისუფლება იმდენად, რამდენადაც შესაბამისი განათლების გარეშე ადამიანი რთულად თუ შეძლებს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას... ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო გარანტიას განათლებული საზოგადოება წარმოადგენს, რომელმაც იცის თავისი უფლებები და მოვალეობები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განათლების უფლებით სარგებლობა მხოლოდ ამა თუ იმ პირისათვის ინფორმაციისა და ცოდნის მოგროვებას როდი ნიშნავს, მისი მიზანია, ასევე, საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანა. ამასთანავე, განათლების უფლების სოციალური ფუნქცია, სწორედ, თითოეული პირის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას გულისხმობს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18).

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „სახელმწიფოს პირდაპირ და უშუალო ინტერესს წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების, ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც, რა თქმა უნდა, ადეკვატური განათლების სისტემის გარეშე წარმოუდგენელია. განათლების უფლების ეფექტური რეალიზება არა მხოლოდ პირის ინდივიდუალურ ინტერესს, არამედ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენს. ხოლო ამ უფლების შეზღუდვა კი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს როგორც ინდივიდს, ასევე მთლიანად საზოგადოებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21).

2. სადავო ნორმის შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობის და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

5. „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში – დებულების) პირველი მუხლის თანახმად, ეს დებულება არეგულირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების წესსა და პირობებს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ფ“ პუნქტის მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდა ესაა პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად. ამავე მუხლის „ა“ პუნქტი განმარტავს, რომ აბიტურიენტი არის სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული კანონის 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგები სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოს მოქალაქეზე ან რეზიდენტზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის საფუძველია. ერთიანი ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში გაცემულ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს.

6. დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმოადგენს პროცედურას, რომლის მეშვეობითაც (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა) ხდება აბიტურიენტთა ჩარიცხვა უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატზე და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილება.



7. დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდები ტარდება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით, ტესტირების გზით. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ს“ პუნქტის თანახმად, ტესტი ესაა საგამოცდო საგნების მიხედვით, ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამის შესაბამისად, ცენტრის მიერ შედგენილი ტესტური დავალებები და პასუხების ფურცელი, რომელიც კონფიდენციალურია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებამდე. დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, აბიტურიენტებმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ტესტირება უნდა გაიარონ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ერთ-ერთ უცხო ენაში (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა) და დებულების №3 დანართით განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით საგანში (მათემატიკა, ისტორია, ლიტერატურა...). ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, ამა თუ იმ აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დააწესოს დამატებითი გამოცდა დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები...) ერთ ან რამდენიმე საგანში. დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უცხოური ენის და მათემატიკის გამოცდაში შეადგენს ამ საგნისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 20%-ს, ზოგადი უნარების გამოცდაში 30%-ს, ხოლო ყველა სხვა საგანში – თითოეული საგნისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 25%-ს, ამასთან, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო დაწესებულებას არა აქვს უფლება, ერთიანი ეროვნული გამოცდის ცალკეული საგნისთვის დააწესოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულზე ნაკლები მინიმალური კომპეტენციის ზღვარი“. ამავე, მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ აბიტურიენტი რანჟირების დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება, თუ ის გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ყველა იმ საგანში, რომელიც სავალდებულოა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად.

8. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ვერ შეძლებს გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუნდაც ერთ ისეთ საგანში, რომელიც აუცილებელია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად (მაგ., ქართული ენასა და ლიტერატურაში), ის კარგავს შესაძლებლობას, ჩარიცხოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მიიღოს უმაღლესი განათლება.

9. სადავო ნორმა ადგენს, რომ „ტესტირებაზე გამოუცხადებლობა აბიტურიენტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება, მიუხედავად იმისა ტესტირებაზე გამოუცხადებლობა ობიექტური მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა“. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტი ვერ მოახერხებს თუნდაც ერთი სავალდებულო საგნის (მაგ., ქართული ენა და ლიტერატურა) ტესტირებაზე გამოცხადებას, იგი ავტომატურად კარგავს უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ჩარიცხვის შესაძლებლობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული რეგულაცია, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, გამორიცხავს დამატებითი ტესტირების ჩატარების შესაძლებლობას იმ აბიტურიენტისთვის, რომელიც არ/ვერ გამოცხადდა მისთვის განკუთვნილ ტესტირებაზე, განურჩევლად გამოუცხადებლობის მიზეზისა. შესაბამისად, ამკარაა, რომ პირს ეზღუდება უმაღლესი განათლების მიღების უფლება.

10. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგები სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოს მოქალაქეზე ან რეზიდენტზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის საფუძველია“. „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული „სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „აკადემიურ პროგრამაზე გრანტს მოიპოვებენ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებში მიღებული აბსოლუტური ქულის მიხედვით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აბსოლუტური ქულით რანჟირების სიის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური პროგრამისთვის გამოყოფილი გრანტის წლიური მოცულობის ფარგლებში“. დასახელებული ნორმების ანალიზი მიუთითებს, რომ სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. შესაბამისად, სადავო ნორმის პირობებში, პირს, რომელმაც ვერ მოახერხა



მისთვის განკუთვნილი სავალდებულო საგნის სესიაზე დასწრება, ავტომატურად ერთმევა სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობაც. ამგვარად, სახეზეა უმაღლესი განათლების დაფინანსების უფლებაში ჩარევაც.

11. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე არ ითხოვს დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარების შესაძლებლობის მინიჭებას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც აბიტურიენტმა ამა თუ იმ მიზეზის გამო, ვერ შეძლო ტესტირებაზე გამოცხადება. იგი ასახელებს კონკრეტულ ობიექტურ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, პირს უნდა მიეცეს დამატებით ტესტირებაზე გასვლის შესაძლებლობა. აღნიშნული საფუძვლებია: აბიტურიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სულ მცირე, ერთი დღე-ღამით ყოფნა; ოჯახის წევრის გარდაცვალება, პანდემიით ან დაუძლეველი ძალით (მაგ., წყალდიდობა, მეწყერი...) გამოწვეული გართულებები.

12. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სადავო ნორმით გამოწვეული შეზღუდვა მიემართება იმ პირებს, რომლებიც ახარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, რათა ჩაირიცხონ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატზე (და არა მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე). ანალოგიური ხასიათის შეზღუდვას ითვალისწინებს „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-16 მუხლის, მე-4 პუნქტი, თუმცა აღნიშნული ნორმა მოცემულ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენს.

13. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მოცემული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენს სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შეფასება, რომელიც გამოირიცხავს დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარების შესაძლებლობას იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში და რომლებმაც ტესტირებაზე გამოცხადება ვერ მოახერხეს ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის, ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების, გ) პანდემიის და დაუძლეველი ძალის გამო.

3. უფლების შეზღუდვის გამართლება

3.1. სადავო ნორმის ფორმალური შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველ პუნქტთან და მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებასთან მიმართებით

14. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადების თანახმად, „მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“. შესაბამისად, კონსტიტუციის დასახელებული დებულებით განსაზღვრულია, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად და დასაფინანსებლად საჭირო რეგულირებების მიღება უნდა მოხდეს კანონის ფორმით. მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებული შეზღუდვა დაწესდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა შეაფასოს, რამდენად აკმაყოფილებს სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნას.

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციითა და მისი ძირითადი პრინციპებით სახელმწიფო ხელისუფლების ბოჭვა, მათ შორის, მოიცავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისობას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით“ (mutatis mutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27).

16. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. საქართველოს



საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი „... როგორც წესი, გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე, რაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს. მოცემული ჩანაწერი არ არის დეკლარაციული ხასიათის და იგი მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რომელიც გაცხადებული და განმტკიცებულია კონსტიტუციის პრეამბულით. ... აღნიშნული კონსტიტუციური დებულების დანიშნულებას არ წარმოადგენს ხელისუფლების მხოლოდ ფორმალური დაყოფა სხვადასხვა შტოებად, არამედ მისი მიზანია, აღნიშნულ შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების რეალური და ქმედითი კონსტიტუციურსამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფა, რაც გამოხატულია კიდევ კონსტიტუციის შესაბამის თავებში მოცემული რეგულირებებით, რომლებიც განსაზღვრავს ხელისუფლების თითოეული შტოს კომპეტენციას და მის ურთიერთმიმართებას სხვა შტოებთან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6, 7).

17. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, „საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კანონშემოქმედებითი კომპეტენციით ხალხის მიერ უშუალოდ არჩეული ორგანო - საქართველოს პარლამენტი ადჭურვილი, ხოლო საქართველოს მთავრობას - აღმასრულებელი ფუნქცია ენიჭება. საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს (გარდა საგანგებო და საომარი მდგომარეობისა) პარლამენტის მიღმა სხვა რომელიმე ორგანოს უფლებამოსილებას, განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა. სწორედ პარლამენტის პრეროგატივა და უპირობო ვალდებულებაა, შეასრულოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია - კანონშემოქმედება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-34).

18. ამასთანავე, „საქართველოს პარლამენტი არის ის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც საკითხს წყვეტს გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესის საფუძველზე, პოლიტიკური დებატების შედეგად, რაც საფუძველშივე ქმნის დამატებით ფილტრს უფლებაში გაუმართლებლად ჩარევის რისკების შესამცირებლად. დემოკრატიული ლეგიტიმაცია მიიღწევა სწორედ კომპლექსური საპარლამენტო პროცედურებით, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების გზით, ინტერესთა დაბალანსების, პოლიტიკური უმრავლესობისა და უმცირესობების თანამონაწილეობის საფუძველზე. მსგავსი წესით აქტის მიღება შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური ნების ფორმირებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული უმრავლესობის თვითნებური ქმედება. ცხადია, ამგვარი პროცედურა არ უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის სრულფასოვან პრევენციას, თუმცა, უდავოდ, მნიშვნელოვნად ამცირებს ძალაუფლების თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს მიღებული აქტის მიმართ მეტ ლეგიტიმაციას და სანდოობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-28).

19. გარდა აღნიშნულისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ „განვითარებად საზოგადოებაში მუდმივად არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოქმედი რეგულაციების ადაპტაციის, შეცვლის, ახალ რეალობასა თუ ღირებულებებზე მორგების საჭიროება. შესაბამისად, საკანონმდებლო საქმიანობა - საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტების ნორმატიულ სივრცეში გადატანა და მათი რეგულირება - დაუსრულებელი პროცესია, რომელიც ძალიან დიდ დროს, ძალისხმევასა და ადამიანურ/მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა საკანონმდებლო საქმიანობისა, საქართველოს პარლამენტს ასევე გააჩნია სხვა კონსტიტუციური უფლებამოსილებებიც, რომელთა ეფექტურად განხორციელებაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი თანამდებობაზე ირჩევს სხვადასხვა პირებს (მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, გენერალურ პროკურორს, სახალხო დამცველს და სხვა), ნდობას ან უნდობლობას უცხადებს საქართველოს



მთავრობას, ზედამხედველობს მის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა ეფექტურად განახორციელოს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო საქმიანობა და მოწესრიგების გარეშე არ დატოვოს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფერო, ხოლო, მეორე მხრივ, შეძლოს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კონსტიტუციური კომპეტენციების განხორციელება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის №1/5/1499 გადაწყვეტილება საქმეზე „მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-13).

20. განათლების უფლება, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებები, მრავალი განსხვავებული ასპექტისგან შედგება, რომელთა რეგლამენტაცია, სხვადასხვა დოზით, დეტალიზებული ქცევის წესების შემუშავებასა და პროცესუალურ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მთელი რიგი სპეციფიკური საკითხებისა და საჭიროებების ანალიზთან, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებასთან. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, დასახელებულ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით ყოველგვარი რეგულაციის შემუშავება, ისევე როგორც სხვადასხვა ტექნიკური ასპექტების განსაზღვრა და მათი კანონით დარეგულირება საქართველოს პარლამენტის მიერ, მნიშვნელოვნად გადატვირთავდა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას და არათუ ხელს შეუწყობდა უფლების უკეთ დაცვას, არამედ, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, გაეუარესებინა ამ კონსტიტუციური გარანტიით სარგებლობის ხარისხი. საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია, უფლების რეგულირებასთან დაკავშირებული ყველა, მათ შორის, პროცედურული/ტექნიკური საკითხის კანონით მოწესრიგება მოხდეს პარლამენტში დადგენილი პროცედურული წესების საფუძველზე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-30). ამავე დროს, რიგ შემთხვევებში, როდესაც საკითხის მოწესრიგება მოქნილ საკანონმდებლო ბაზას საჭიროებს და გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას მოითხოვს, პარლამენტის მიერ კანონით მოსაწესრიგებელი საკითხის დელეგირება არის შესაძლებელი, ლეგიტიმური და, მეტიც, ზოგ შემთხვევაში, აუცილებელიც კი. ცვალებადი საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოზე დელეგირება, ხშირ შემთხვევებში, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საკითხის ეფექტურად რეგულირებას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-40).

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებშიც კი, როდესაც კონსტიტუცია პირდაპირ არ კრძალავს პარლამენტის მიერ გარკვეულ საკითხთა მოწესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოზე გადაცემას, ამგვარი დელეგირება თავად კონსტიტუციითვეა ლიმიტირებული და ექვემდებარება მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ კონტროლს. იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების შეზღუდვის დელეგირება გამართლებული იყოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: 1. აუცილებელია, დელეგირების მიზნები, შინაარსი და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დასაშვები ფარგლები თავად უფლებამოსილების მიმნიჭებელი აქტით იყოს განსაზღვრული; 2. საქართველოს პარლამენტმა არ უნდა მოახდინოს უფლებისათვის სისტემური მნიშვნელობის საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-41-43).

22. ამდენად, იმისთვის, რომ სადავო რეგულაცია შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადების ფორმალურ მოთხოვნებს, აუცილებელია, არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ანიჭებს სადავო ნორმით დადგენილი ფორმით უმაღლესი განათლების მიღების შეზღუდვის უფლებამოსილებას და ეს აქტი უნდა აკმაყოფილებდეს უფლებამოსილების დელეგირებისათვის დადგენილ კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

23. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა იმსჯელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შედეგების განსაზღვრის უფლებამოსილების



დელეგირების სამართლებრივ საფუძველზე. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებას. იდენტური შინაარსის მატარებელია ამავე კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებას. აშკარაა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება, თავის თავში, მათ შორის, მოიაზრებს ტესტირებაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობასაც.

24. შემდგომ ეტაპზე უნდა დადგინდეს, სადავო ნორმის საფუძველზე ტესტირებაზე გამოუცხადებლობისთვის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა რამდენად წარმოადგენს უფლების იმგვარი სისტემური მნიშვნელობის შეზღუდვას, რომელიც ექსკლუზიურად პარლამენტმა უნდა განახორციელოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ის, თუ რომელ საკითხებს გააჩნია კონსტიტუციის მიზნებისათვის სისტემური მნიშვნელობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ზოგად კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს და ამ საკითხთა ამომწურავად ჩამოთვლა ფაქტობრივად შეუძლებელია. პარლამენტის მიერ სუვერენი ხალხის პოლიტიკური სურვილების კანონად ქცევა და ამომრჩევლის ნების აღსრულება ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წევრების ჩართულობით და საზოგადოების მრავალფეროვანი შეხედულებების მოსმენის შედეგად, გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესის საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს დაბალანსებული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საქართველოს პარლამენტის წევრთათვის ხალხის მიერ მანდატის პირდაპირი გზით მინიჭება გულისხმობს, რომ სწორედ მათ მიერ და კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურით უნდა მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი თუ პოლიტიკური განვითარების ფუძემდებლური პრინციპების, ძირითადი არსის შესახებ. მათი ვალდებულებაა, იმსჯელონ ისეთ საკითხებზე, რომელთა რეგულირებაც მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. მათვე უნდა განსაზღვრონ იმ საკითხთა გადაწყვეტის გზები, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე ან/და ინდივიდის ძირითადი უფლების ინტენსიურ შეზღუდვას შეეხება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის №1/5/1499 გადაწყვეტილება საქმეზე "მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-18). მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ამგვარი სისტემური მნიშვნელობის საკითხს განეკუთვნება გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“). სწორედ ამგვარი საკითხების რეგულირება მოითხოვს, ერთი მხრივ, პარლამენტის წევრთა ლეგიტიმაციის უმაღლეს ხარისხს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს გაუმჭვირვალე პროცედურის გზით ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

25. განსახილველ შემთხვევაში, საქმე შეეხება ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირებაზე გამოუცხადებლობის გამო უმაღლესი განათლების მიღებისა და დაფინანსების შეზღუდვას. კერძოდ, აბიტურიენტს ერთმევა დამატებით საგამოცდო სესიაზე გასვლის, შედეგად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობა 1 წლის ვადით. აღნიშნული შეზღუდვის არსის და მისი დროებითი ხასიათის გათვალისწინებით, ნათელია, რომ იგი გავლენას ვერ მოახდენს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი თუ პოლიტიკური განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე. ამასთან, ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შედეგების განსაზღვრა არ წარმოადგენს განათლების მიღების უფლებაში იმგვარ ჩარევას, რომელიც აუცილებლად მოითხოვს სხვადასხვა პოლიტიკური აქტორებისა თუ პირთა ფართო წრის ჩართულობით გადაწყვეტილების მიღებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შედეგების განსაზღვრა არ განეკუთვნება ისეთი სისტემური მნიშვნელობის საკითხს, რომელზეც აუცილებელია პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

26. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ფ“ პუნქტით განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდების არსი. კერძოდ, ესაა



პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად. აღნიშნული დეფინიციიდან იკვეთება თავად ამ პროცედურის მიზანიც – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველი პირების უნარებისა და შესაძლებლობების შემოწმება. ბუნებრივია, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების დელეგირების ფარგლებში ექცევა, მათ შორის, ისეთი საკითხის რეგულირება, როგორცაა ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შედეგი. ამრიგად, აქტით, რომლითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიენიჭა ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შედეგების განსაზღვრის უფლებამოსილება – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით-განსაზღვრულია, თუ რას გულისხმობს ერთიანი ეროვნული გამოცდები, რა მიზნით ხდება მისი შემოღება და როგორია მისი ფარგლები. უფლებამოსილების ამ ფორმით დელეგირება საკმარისად განჭვრეტადს ხდის, თუ კონკრეტულად, რა უფლება მიენიჭა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს და რა მიზნების მისაღწევად უნდა მოხდეს მისი გამოყენება. შესაბამისად, ერთი მხრივ, დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელ პირს აქვს შესაძლებლობა, აღიქვას, თუ რა მიზნითა და ფარგლებით მიენიჭა ესა თუ ის უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, მაკონტროლებელ ორგანოებს შესწევთ უნარი, შეაფასონ, რამდენად სწორად გამოიყენა უფლებამოსილმა პირმა/ორგანომ დელეგირებული უფლებამოსილება და ხომ არ გასცდა მის ფარგლებს.

27. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მე-4 წინადადების მოთხოვნებს.

3.2. სადავო ნორმის მატერიალური შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველ პუნქტთან და მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებასთან მიმართებით

28. უმაღლესი განათლების მიღებისა და დაფინანსების უფლებების, უდავოდ დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ისინი არ არის აბსოლუტური ხასიათის და მათი შეზღუდვა დასაშვებია ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, თუ დაცულია თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები. „აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

3.2.1. ლეგიტიმური მიზანი

29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რათა გასაჩივრებული რეგულაცია შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, იგი ემსახუროდეს ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. „თუ არ არსებობს შესაფერისი ღირებული მიზანი, ზედმეტია იმ საშუალებების შეფასება, რითაც ეს მიზანი მიიღწევა ან რამდენად აღმატებულია მიზნიდან გამომდინარე სიკეთე იმ ნეგატიურ ეფექტზე, რომელიც შეზღუდული უფლებიდან გამომდინარეობს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17).

30. მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზანია მოხდეს აბიტურიენტების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის სხვადასხვა ვარიანტებში მიღებული ქულების ერთმანეთთან გაიგივება და მათ მიერ ნაჩვენები შედეგის თანაბრად შეფასება. ამასთან, გასაჩივრებული რეგულაციის გაუქმება და დამატებითი საგამოცდო სესიების დანიშვნა გამოიწვევს საბიუჯეტო სახსრების გაზრდასა და დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროებას. მოპასუხის მიერ



დასახელებული მიზნები ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავდება, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო თითოეული მათგანის ლეგიტიმურობის საკითხს ცალ-ცალკე შეაფასებს.

3.2.1.1. ქულათა გაიგივებისა და გათანაბრების მექანიზმი

31. მოპასუხე მხარის განმარტებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყოველწლიურად მონაწილეობს დაახლოებით 40 000-მდე აბიტურიენტი. ცენტრს არასაკმარისი ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსის გამო არ აქვს შესაძლებლობა, ყველა მათგანს ერთსა და იმავე საგანში ერთდროულად აწერიოს ტესტის საერთო ვარიანტი. აღნიშნული ფაქტორის გამო, ამა თუ იმ საგამოცდო საგანში გამოცდები ტარდება რამდენიმე სესიად. ამასთან, აუცილებელია, რომ თითოეული სესიისთვის შედგეს განსხვავებული ტესტური ვარიანტები, რათა იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ არა პირველ, არამედ მეორე ან მესამე სესიაში, წინასწარ არ გახდეს ცნობილი ტესტის შინაარსი და, შესაბამისად, უკეთეს მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ იმ პირებთან შედარებით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პირველ საგამოცდო სესიაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საგამოცდო ცენტრი, წინასწარ განსაზღვრული შინაარსობრივი, კოგნიტური და სტატისტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის ერთგვაროვანი ტესტური დავალებების კრებულს. თუმცა სირთულის თვალსაზრისით, მაინც შეიძლება არსებობდეს მცირედი სხვაობა ტესტის სხვადასხვა ვარიანტებს შორის. ამგვარი მოცემულობიდან გამომდინარე, ცენტრმა შეიმუშავა ქულების გაიგივების და გაიგივებული ქულების გათანაბრების მექანიზმი, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს ტესტის სხვადასხვა ვარიანტებს შორის არსებული განსხვავებების კომპენსირება, რათა არ დაირღვეს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები.

32. აღნიშნული პროცესი მოიცავს კონკრეტული ქულის პროცენტული რანგის დადგენას, შემდგომში ნედლი ქულების გაიგივებას და გათანაბრებული ქულის მინიჭებას. საბოლოოდ, გათანაბრებული ქულების საფუძველზე ხდება აბიტურიენტთა ჩარიცხვა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათთვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭება. ქულების გათანაბრება ტექნიკურად ხდება შემდეგი წესით: იმ შემთხვევაში, თუ ერთ საგამოცდო საგანში არის ტესტის 2 ვარიანტი – „ა“ ვარიანტი და „ბ“ ვარიანტი, „ა“ ვარიანტში მიღებული კონკრეტული ქულისთვის გამოითვლება ამ ქულის პროცენტული რანგი, რაც ადგენს, თუ რამდენმა აბიტურიენტმა მიიღო ამ ქულის ტოლი ან მასზე დაბალი ქულა. ამის შემდგომ, „ბ“ ვარიანტში მოიძებნება ისეთი ქულა, რომელსაც აქვს იგივე პროცენტული რანგი და შემდეგ ხდება იმ ქულათა გათანაბრება, რომელთაც გააჩნიათ ერთნაირი პროცენტული რანგი. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აბიტურიენტთა მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულების თანაბრად შეფასება ნამდვილად წარმოადგენს ისეთ ლეგიტიმურ მიზანს, რომლის მისაღწევადაც დასაშვებია უმაღლესი განათლების მიღებისა და დაფინანსების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა.

3.2.1.2. გამოსადეგობა

33. ქულების გაიგივებისა და გათანაბრების პროცედურა მოითხოვს, რომ საგამოცდო სესიებში აბიტურიენტთა რაოდენობა იყოს, დაახლოებით, თანაბარი და მათი შერჩევა მოხდეს შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც, საბოლოოდ, სტატისტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ამგვარად დაკომპლექტებული ჯგუფების უნარების, დაახლოებით, თანაბრობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგამოცდო ცენტრი შემთხვევითობის პრინციპით წინასწარ განსაზღვრავს ტესტის სხვადასხვა ვარიანტებში მონაწილე აბიტურიენტთა სიას, სადაც მათი რაოდენობა, დაახლოებით, თანაბარია. შესაბამისად, წინასწარ პროგნოზირებადია ამა თუ იმ ვარიანტზე გასული აბიტურიენტების რაოდენობა. დამატებით სესიაზე გასვლის შესაძლებლობის დაშვებით, შეუძლებელი იქნება აღნიშნულ სესიაზე გამსვლელ აბიტურიენტთა რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა. შესაბამისად, ვეღარ მოხდება აბიტურიენტთა მიერ მიღებული ქულების გაიგივება და გათანაბრება, რაც გამოიწვევს თანასწორობის პრინციპის დარღვევას.

34. ამასთან, მონაწილეთა თანაბარი რაოდენობა იმთავითვე გულისხმობს მონაწილეთა არა აბსოლუტურ თანაფარდობას, არამედ, დაახლოებით, თანაბარ ოდენობას. მაგალითისთვის, თუ ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო სესია ტარდება 3 სესიად და თითოეულ მათგანში



რეგისტრირებულია 10 000 აბიტურიენტი, ეს a priori არ ნიშნავს იმას, რომ ყველა საგამოცდო სესიაზე მოხდება აბიტურიენტთა 100%-იანი გამოცხადება. შესაძლებელია, პირველ სესიაზე გამოცხადდეს 9 900-მდე აბიტურიენტი, მეორეზე – 9 890, ხოლო მესამეზე – 9 880. აღნიშნულ სესიებზე გასულ მონაწილეთა რაოდენობის ერთმანეთისგან მცირედი განსხვავებების მიუხედავად, ქულათა გაიგივებისა და გათანაბრების მექანიზმით მოხდება ამ აბიტურიენტების მიერ ტესტირებაზე ნაჩვენები შედეგის შეფასება.

35. როგორც უკვე აღინიშნა, ერთსა და იმავე საგამოცდო საგანში სხვადასხვა სესიები ტარდება განსხვავებულ დროს. მაგალითისთვის, ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესაძლებელია, ტესტი ჩატარდეს 3 სესიად – ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს. შესაბამისად, დასაშვებია შეიქმნას სიტუაცია, როდესაც აბიტურიენტმა, რომელიც წესით უნდა გასულიყო ორშაბათის სესიაზე, რაიმე ზემოხსენებული ობიექტური ფაქტორის გამო (მაგ., მოხდა წყალდიდობა და ის ტერიტორია, სადაც იმყოფებოდა აბიტურიენტი მოწყდა გარე სამყაროს) ვერ შეძლოს მისთვის განკუთვნილ სესიაზე დასწრება, თუმცა მას შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს სამშაბათის ან/და ოთხშაბათის სესიებში. ასეთ ვითარებაში აღარ დგას დამატებითი საგამოცდო სესიის a priori ჩატარების საჭიროება, რადგან შესაძლებელია, დაინტერესებული პირისთვის გამოცდის გადატანა მოხდეს უკვე წინასწარ განსაზღვრულ სესიაზე. შესაბამისად, ამგვარ შემთხვევაში ქულათა გაიგივებისა და გათანაბრების პროცედურის შედეგების სანდოობა არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

36. თუმცა, შეიძლება არსებობდეს სიტუაცია, როდესაც აბიტურიენტი ვერ ახერხებს უკვე წინასწარ განსაზღვრულ სესიებში მონაწილეობას (მაგ., მას მონაწილეობა უნდა მიეღო ქართული ენისა და ლიტერატურის ბოლო საგამოცდო სესიაში, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლო). ასეთ შემთხვევაში, უკვე წარმოიშობა აბიტურიენტისთვის დამატებითი საგამოცდო სესიის დანიშვნის საჭიროება. ამასთან, დამატებით სესიაზე გასვლის შესაძლებლობის დაშვებით, შეუძლებელი იქნება აღნიშნულ სესიაზე გამსვლელ აბიტურიენტთა რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა. შესაბამისად, ვეღარ მოხდება აბიტურიენტთა მიერ მიღებული ქულების გაიგივება და გათანაბრება, რაც გამოიწვევს თანასწორობის პრინციპის შეზღუდვას. სადავო ნორმა გამორიცხავს დამატებითი სესიის დანიშვნის შესაძლებლობას, რის შედეგადაც, უზრუნველყოფს ქულათა გაიგივებისა და გათანაბრების პროცედურისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, სადავო ნორმა ამგვარ შემთხვევაში წარმოადგენს ქულათა თანაბრად შეფასების მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას.

3.2.1.3 აუცილებლობა

37. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქულების გაიგივებისა და გათანაბრების პროცედურისთვის აუცილებელია, რომ საგამოცდო სესიებში აბიტურიენტთა რაოდენობა იყოს, დაახლოებით, ერთნაირი და მათი შერჩევა მოხდეს შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით. ბუნებრივია, დამატებითი სესიის არსებობის შემთხვევაში, წინასწარ შეუძლებელი იქნება აბიტურიენტთა რაოდენობის განსაზღვრა. შესაბამისად, ვერ მოხდება დამატებით სესიაზე გასული აბიტურიენტების მიერ მიღებული ქულების გათანაბრება იმ აბიტურიენტთა ქულებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩვეულებრივ სესიებში. ამასთან, საქმის განხილვის არსებით სხდომაზე არ გამოვლენილა, არსებული მოდელის პირობებში, იგივე ეფექტის მქონე უფლების უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა აკმაყოფილებს აუცილებლობის კრიტერიუმს.

3.2.2 დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის საჭიროება

38. მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარება მოითხოვს დამატებითი ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებას, ასევე, დამატებითი ფულადი სახსრების



გამოყოფას. როგორც აღინიშნა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყოველწლიურად იხარჯება, დაახლოებით, 7-8 მილიონი ლარი, ხოლო 2021 წელს დაიხარჯა 10 მილიონი ლარი, რაც გამოწვეული იყო COVID პანდემიის შედეგად, დამატებითი სესიების ჩატარების აუცილებლობითა და შესაბამისი ინვენტარის (პირბადეები, ფარები, ხსნარები...) შეძენის საჭიროებით.

39. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ამოწურვადი რესურსების დაზოგვა, ზოგადად, შეიძლება წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. „ყურადსაღებია, რომ სახელმწიფოს გააჩნია საკმაოდ ფართო მიხედულების ზღვარი, მაშინ როდესაც საქმე უკავშირდება შეზღუდვად რესურსებს და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმარებას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამოწურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტია, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე "რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-26)

40. ბუნებრივია, დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარება მოითხოვს დამატებით ადამიანურ და მატერიალურ რესურსს. მაგ., მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცენტრის თანამშრომლების (კურატორები, მეთვალყურეები...) გაზრდილი სამუშაო დატვირთვა, რაც საჭიროებს დამატებით ანაზღაურებას. როგორც უკვე აღინიშნა სადავო ნორმა გამორიცხავს დამატებითი სესიის ჩატარების შესაძლებლობას, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის დაზოგვა. ამასთან, არ იკვეთება უფლების უფრო ნაკლებად მზღუდავი სხვა ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა, დასახელებული მიზნის მიღწევა იმავე ეფექტურობით.

3.2.3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

41. უფლებაშემზღუდველი ნორმატიული წესის კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისად მიჩნევისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს, სადავო ნორმით დადგენილი რეგულირების ფარგლებში დაცული ინტერესი, საკუთარი მნიშვნელობით, აღემატება თუ არა, შეზღუდულ ინტერესს. ამ ეტაპზე უნდა გაანალიზდეს, რამდენადაა დაცული პროპორციულობა ვიწრო გაგებით (*stricto sensu*), რომლის მოთხოვნაა „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). განსახილველ შემთხვევაში, ისეთ ლეგიტიმურ მიზნებს, როგორებიცაა: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანაბრად შეფასება და ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსის დაზოგვა, უპირისპირდება პირის ინტერესს, არ დაკარგოს უმაღლესი განათლების მიღებისა და დაფინანსების უფლება 1 წლის ვადით.

42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აბიტურიენტების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტის სხვადასხვა ვარიანტებში მიღებული ქულების თანაბრად შეფასება, უდავოდ, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ ინტერესს. ქულათა გაიგივებისა და გათანაბრების მექანიზმი უზრუნველყოფს აბიტურიენტთა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში ჩარიცხვა განხორციელდეს ობიექტურობის, სამართლიანობის, თანასწორობის საწყისებზე და ასეთად აღიქმებოდეს საზოგადოების მიერ. ამასთან, აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა იმ პირობებში, როდესაც არსებობს ტესტის რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი, პირობითია და გარკვეულ ცდომილებებს მაინც შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

43. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დამატებით სესიაზე გამსვლელი აბიტურიენტების მიერ მიღებული ქულების გათანაბრება (მონაწილეთა არათანაბარი რაოდენობის გამო) ვერ მოხდება იმ აბიტურიენტების ქულებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ძირითად სესიებში. შესაბამისად, ქულათა გათანაბრების პროცედურაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ძირითად სესიაზე გამსვლელი აბიტურიენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საქმის განხილვის არსებით სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა, ბატონმა ზაქარია გიუნაშვილმა განმარტა ქულათა გათანაბრების პროცედურისას არც ერთ აბიტურიენტს ქულა არ აკლდება. ქულა ემატებათ იმ აბიტურიენტებს,



რომლებსაც მათ მიერ მიღებული ქულის პროცენტული რანგის გამოთვლის შედეგად დაუდგინდებათ, რომ შეხვდათ ტესტის უფრო რთული ვარიანტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ აბიტურიენტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ დამატებით სესიაში, მიღებული ქულები ვერ მოემატებათ. შესაბამისად, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დამატებით გამოცდაზე გამსვლელი აბიტურიენტები შეიძლება აღმოჩნდნენ უკეთეს მდგომარეობაში, იქნება შემთხვევა, როდესაც მათ შეხვდებოდათ ტესტის სხვა სატესტო ვარიანტებს შორის ყველაზე მარტივი, რისი ალბათობაც, შედარებით დაბალია. მეტი სიცხადისთვის, თუ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდისთვის შედგენილია 4 სატესტო ვარიანტი, რომელთაგანაც 3 გათვლილია ძირითადი საგამოცდო სესიებისთვის, ხოლო მე-4 დამატებითი საგამოცდო სესიისთვის, იმისთვის რათა ძირითად სესიაზე გამსვლელი აბიტურიენტები მოექცნენ უარეს მდგომარეობაში, აუცილებელი იქნება, რომ მე-4 დამატებითი სესიისთვის განკუთვნილი ტესტური ვარიანტი აღმოჩნდეს ყველაზე მარტივი.

44. ამასთან, როგორც სხდომის არსებით სხდომაზე ცენტრის წარმომადგენლებმა განმარტეს, როგორც წესი, საგამოცდო ტესტურ ვარიანტებში განსხვავება ნედლ და გათანაბრებულ ქულებს შორის არ აღემატება 2 ქულას. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ცხადია, რომ ქულათა შორის უმცირეს სხვაობასაც კი შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს აბიტურიენტის მიერ კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების პროცესში, თუმცა აღნიშნული ვერ დააბრკოლებს მათ მიერ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. კერძოდ, ყველა აბიტურიენტს, რომელიც მის მიერ ჩასაბარებელ საგამოცდო საგნებში გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ექნება ამა თუ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოხვედრის შესაძლებლობა. ამგვარი მოცემულობისგან განსხვავებით, ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში აბიტურიენტები ვერ შეძლებენ მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვას და, შესაბამისად, იმთავითვე მოკლებულნი იქნებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

45. საქმის განხილვის არსებით სხდომაზე, ცენტრის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს პოზიცია, რომ დამატებითი სესიის დანიშვნის უკეთესი ალტერნატივა შესაძლოა ყოფილიყო იმ აბიტურიენტთა უგამოცდოდ ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, რომლებმაც ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ვერ მოახერხეს ტესტირებაზე გამოცხადება, იმ პირობით, რომ ისინი მომავალ წელს თავიდან გავიდოდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომის შედეგად შესაძლოა, გაჩნდეს აბიტურიენტების მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელოვნურად გაუარესების და სტაციონარულ დაწესებულებაში მოხვედრის რისკები, რის შედეგადაც, ისინი შეძლებდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უგამოცდოდ ჩარიცხვას. გარდა ამისა, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამგვარად ჩარიცხული სტუდენტების გადანაწილება კონკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათთვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მეთოდი ვერ გამოდგება დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარების ისეთ ალტერნატივად, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დაპირისპირებული ინტერესების უკეთ დაბალანსებას.

46. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გარდა ქულათა გათანაბრების ინტერესისა, დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარება, ასევე მოითხოვს დამატებით ადმინისტრაციულ და მატერიალურ რესურსს. დასახელებულ ინტერესებს უპირისპირდება პირის უფლება, მიიღოს და დაიფინანსოს უმაღლესი განათლება, რისი საშუალებაც მას ერთმევა 1 წლის ვადით. აღნიშნული წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიღებისა და დაფინანსების უფლებებში საკმაოდ ინტენსიურ ჩარევას. ზემოთ, სასამართლომ უკვე ისაუბრა აღნიშნული უფლებების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე (იხ. ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1-4 პარაგრაფები). „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უმაღლესი განათლების მიღება უკავშირდება მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევას, როგორებიცაა: პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა... ნათელია, რომ უმაღლესი განათლების მიღება პირს ეხმარება საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში, საშუალებას აძლევს, იმუშაოს მის მიერ არჩეული პროფილით, ჰქონდეს კარიერული წინსვლა და მიიღოს მატერიალური



სარგებელი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სადავო ნორმიდან გამომდინარე, პირს აღნიშნულ სიკეთეებზე წვდომის შესაძლებლობა ერთმევა 1 წლის ვადით.

47. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ისეთი ობიექტური გარემოებები, როგორებიცაა: აბიტურიენტის ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, პანდემია და სტიქიური უბედურებები, ნამდვილად წარმოადგენს იმგვარ ფაქტორებს, რომლებიც უკიდურესად ართულებს ან/და შეუძლებელს ხდის აბიტურიენტის გამოცხადებას მისთვის განკუთვნილ საგამოცდო სესიაზე. ამ მხრივ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 28 ივნისის №40/ნ ბრძანების პირველი მუხლის „თ.ბ.“ ქვეპუნქტით, დებულების გარდამავალ დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგადაც, 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდში განისაზღვრა დამატებითი საგამოცდო სესია იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც ვერ მოახერხეს გამოცდაზე დასწრება ა) COVID-19-ის ინფექციის დადასტურების გამო; ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სულ მცირე, ერთი დღე-ღამით ყოფნის გამო; გ) ოჯახის წევრის (მეუღლე, დედა, მამა, და-ძმა, შვილი) გარდაცვალების გამო; დ) საქართველოს სახელით უცხო ქვეყანაში საერთაშორისო სპორტულ ტურნირში მონაწილეობის გამო. როგორც საქმის განხილვის არსებით სხდომაზე ცენტრის წარმომადგენლებმა განმარტეს, დამატებითი საგამოცდო სესიებით გამოწვეული გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მათ მაინც მოახერხეს 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება და საბოლოო შედეგების დროულად გამოქვეყნება. ანალოგიური ხასიათის გამონაკლისები კვლავ იქნა გათვალისწინებული 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვისაც.

48. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ცენტრს აქვს შესაძლებლობა, გამონახოს საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსი დამატებითი საგამოცდო სესიების ჩასატარებლად. ის ხარჯი, რომელიც დამატებით წარმოიშვა აღნიშნული სესიებისთვის და, რომელშიც მოიაზრება პანდემიასთან გასამკლავებლად საჭირო ინვენტარის შესაძენად დახარჯული თანხებიც, ვერ ჩაითვლება განსაკუთრებით მძიმე ტვირთად სახელმწიფოს ბიუჯეტისთვის. ამასთან, 2021 და 2022 წლებში აბიტურიენტთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას, ისევე როგორც სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემისას, მხედველობაში იქნა მიღებული იმ აბიტურიენტთა მიერ ნაჩვენები შედეგები, რომლებსაც კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის გამო მოუწიათ დამატებით ტესტირებაზე გასვლა.

49. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვერც მატერიალური რესურსის დაზოგვის და ვერც ქულათა თანაბრად შეფასების ინტერესით, ვერ იქნება გამართლებული უმაღლესი განათლების მიღებისა და მისი დაფინანსების უფლების იმ ფორმით შეზღუდვა, როგორსაც ამას სადავო ნორმა ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის და მეორე პუნქტის მე-4 წინადადების მოთხოვნებს და არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

4. სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის გადავადება

50. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული რეგულაციის არაკონსტიტუციურად ცნობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იგი ბლანკეტურად, უკლებლივ ყველა პირისათვის გამორიცხავდა დამატებითი საგამოცდო სესიის ჩატარების შესაძლებლობას, განურჩევლად ტესტირებაზე გამოუცხადებლობის მიზეზისა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ აბიტურიენტს უნდა მიეცეს დამატებით ტესტირებაზე გასვლის შესაძლებლობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც მან ძირითად ტესტირებაზე გამოცხადება ვერ მოახერხა: ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის, ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების, გ) დაუძლეველი ძალის გამო. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლო ლეგიტიმურად მიიჩნევს დამატებითი ტესტირების ჩატარების შეზღუდვას იმ პირებისთვის, რომლებიც ძირითად საგამოცდო სესიაზე არ გამოცხადდნენ რაიმე სხვა მიზეზით. ამავ დროს, ვინაიდან 2023 წლის ზაფხულამდე ეროვნული გამოცდები არ ტარდება, შესაბამისად, სადავო ნორმის



დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად ცნობას მოსარჩელებებისა და მის მსგავს პირობებში მყოფ პირთათვის უფლების დაცვის დამატებითი ეფექტი ვერ ექნება.

51. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სადავო ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2023 წლის პირველი აპრილიდან, რათა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრს მიეცეს შესაძლებლობა, საკითხი მოაწესრიგოს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს №1559 კონსტიტუციური სარჩელი („არჩილ მორბედაძე და ამალია ბადალიანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“) და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველ პუნქტთან და მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებასთან მიმართებით.
2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2023 წლის პირველი აპრილიდან.
3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის წევრები:

მანანა კობახიძე

ირინე იმერლიშვილი

ხვიჩა კვიციანი



